

დოკუმენტები.

ქართულ ეროვნულ პარტიის ევროპის კომიტეტის სახელით 26 მარტს 1917 წელს გავაზნა ქალაქ ვენევიდან (შვეიცარია) რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს თავდს ლეოვს შემდეგი დეპეზა:

„ქართულ ეროვნულ პარტიის ევროპის სექციის სახელით გვაქვს პატივი მოვაგონოთ რუსეთის დროებითი მთავრობას, რომ მას აქეთ რას მოხდა რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის შესვლა და თანხმად დროებითი მთავრობის მანიფესტისა, რომელიც უზრუნველ ჰყოფს დაზარებულ ერების თავისუფლებებს, საქართველოს აქვს უფლება მოითხოვოს აღდგენილ იქმნენ მისი ყველა უფლებანი და მამასადამე აქვს უფლება დაუყოვნებლივ შეუდგეს ქართულ დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელიც შეიმუშავებს საქართველოს კონსტიტუციას და აღადგენს ავტონომიურ (დამოუკიდებელ) საქართველოს მთელ მის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზღვრებით რუსეთის პროტექტორატის ქვეშ, თანხმად რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს დადებულ ტრაქტატებისა, რომელნიც დარღვეული იქმნენ რუსეთის მიერ საქართველოში შემოსვლისთანავე.

საქართველოს აქვს აგრეთვე უფლება აღადგინოს თავისი ეკლესიის ავტოკეფალია, მოსაზობილი ძველი რეჟიმის მიერ მიუხედავად იმავე 1783 წლის ტრაქტატებისა და კანონიერ უფლებებისა, და მამასადამე აქვს უფლება ძველი რეჟიმის დანგრევის შემდეგ აირჩიოს საკუთარი კათალიკოსი და მოსთხოვოს რუსის მთავრობას დაუყოვნებლივ გაიწვიოს რუსის ეგზარხოსი თბილისიდან.

რუსეთისა და საქართველოს დამფუძნებელმა კრებებმა უნდა განიხილონ 1783 წლის ხელშეკრულობანი და შეიმუშაონ პროტექტორატის ახალი ხელშეკრულება“.

ქართულ ეროვნულ პარტიის ევროპის კომიტეტის წევრები:

ლ. კერესელიძე, გ. კერესელიძე, მ. წერეთელი.

ამ დეპეზის კოპიები დეპეზითვე გავაზნათ საფრანგეთის სამინისტროს თავმჯდომარეს ბ-ნ რიბოს და ინგლისის სამინისტროს თავმჯდომარეს ბ-ნ ლოიდ ჯორჯს შემდეგი წინასიტყვაობით:

„ბატონო მინისტრთა თავმჯდომარე, გვაქვს პატივი გასწნობით, რომ შემდეგი დეპეზით მიგმართეთ რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს თავდს ლეოვს“.

იმავე დღეს შემდეგი დეპეზა გავაზნა ეპისკოპოს ლეონიდს:

ქ. ფიოთი.
ეპისკოპოს ლეონიდს.

გვაქვს პატივი ვთხოვოთ თქვენს ყოვლად სასულიეროს შუამდგომლობით საქართველოს ყველა ეპისკოპოზებს და მთელს სამღვდლეობას ჩვენი პარტიის აზრი, რომლის მიხედვითაც საქართველოს აქვს უფლება აღადგი-

ნოს თავისი ეკლესიის ავტოკეფალია, მოსაზობილი ძველი რეჟიმის მიერ წინააღმდეგ 1783 წლის ხელშეკრულობისა და კანონიერ უფლებებისა და მოითხოვოთ რა გავწეულ იქმნეს რუსის ეგზარხოსი თბილისიდან, დაუყოვნებლივ შეუდგეთ საქართველოს კათალიკოსის არჩევანს, თანხმად რუსეთის დროებითი მთავრობის მანიფესტისა.

ქართულ ეროვნულ პარტიის ევროპის კომიტეტის წევრები:

ლ. კერესელიძე, გ. კერესელიძე, მ. წერეთელი.

იმავე დღეს გავაზნეილ იქმნა შემდეგი დეპეზა: თბილისი

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.

გვაქვს პატივი ვთხოვოთ რედაქციას რათა მან შეატყობინოს ქართველ საზოგადოებას ჩვენი პარტიის აზრი, რომლის მიხედვით, რუსეთის ძველი რეჟიმის დანგრევის შემდეგ, საქართველოს აქვს უფლება დაუყოვნებლივ შეუდგეს საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომელიც შეიმუშავებს რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზღვრებში აღდგენილ ავტონომიურ საქართველოს ეროვნულ კონსტიტუციას. საქართველოს აქვს უფლება აგრეთვე ამოიჩიროს ქართველი ეკლესიის კათალიკოსი.

საქართველოს აქვს უფლება მოიყვანოს ისტორიკოსი აქტები მიხედვით 1783 წლის ხელშეკრულობისა, რომელიც დარღვეული იქმნა რუსეთის ძველი რეჟიმის მთავრობის მიერ და რომელიც შევიდა ძალაში ამ რეჟიმის მოსაზობის უშალ.

ამავე შინაარსის დეპეზები გავაზნათ რუსეთის დროებითი მთავრობას, ბატონს მინისტრთა თავმჯდომარეს რიბოს და ბატონს მინისტრთა თავმჯდომარეს ლოიდ ჯორჯს“.

ქართულ ეროვნულ პარტიის ევროპის კომიტეტის წევრები:

ლ. კერესელიძე, გ. კერესელიძე, მ. წერეთელი.

პარიზის ქართველთა კლონიამ მიმართა ბ-ნ კერესელის, რუსეთის სამართლის (იუსტიციის) მინისტრს შემდეგის დეპეზით:

„პარიზში მყოფი ქართველები აღტაცებით უძღვნიან საღამს რევოლუციის საბოლოო გამარჯვებას.

საქართველო, შეკავშირებელი რუსეთთან საკუთარის სურვილით 1783 წელს, ელის ლოიალურ რესპუბლიკიდან თავის სრულ დამოუკიდებლობის აღდგენას და დაბრუნებას ყველა იმ გამართულ ისტორიულ სიმიდრისას, რომელსაც ქართველი ერი იწავედა დიდი სიამაყით მრავალ საუკუნოების განმავლობაში.

იმ აუწერლ ტანჯვის, რომელსაც აყენებდა ძველი რეჟიმი სულ უმიზეზოდ 114 წლის უფსკრულაში თავის ნებით რუსეთთან შეკავშირებულ განხ მიღონ ქარ-